ოქმი:**ო08. 3723023001**

თარიღი:**23/01/2023**

ოქმი № 2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 იანვარი

ქ.ოზურგეთი

11.30 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. სალუქვაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი, დ. დარჩია, გ. ჩავლეშვილი, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

მომხსენებელმა, დ.ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტი-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ვრცლად ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 28 მილიონ ლარზე მეტით, აქედან გასული წლის ბიუჯეტის ნაშთია 19 მილიონი ლარი, მათ შორის საკუთარი ნაშთია 7.5 მილიონ ლარზე მეტი, შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა იმ მუხლებსა და პროგრამებზე, სადაც გადანაწილდა ეს ნაშთები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი